**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის ოქმი № 4**

**ქ. ლანჩხუთი** **26.03.2026 წელი**

**11:30 საათი**

**სხდომას უძღვებოდა**: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი.**

**სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრები**: დარეჯან ბურჭულაძე, ნინო მშვიდობაძე, ლოლიტა ურუშაძე, ელისო ჭიჭინაძე, ივანე ებრალიძე, რევაზ კვერენჩხილაძე, გელა პატეიშვილი, ირაკლი ტოროტაძე, თენგიზ ხუხუნაიშვილი, ვარლამ ჩხარტიშვილი.

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **ეკატერინე ჩუბინაშვილი,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი** მიესალმა სტუმრებს და განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ახალ ხელმძღვანელს, **ეკატერინე ჩუბინაშვილს** მიულოცა თანამდებობაზე დანიშვნა და წარმატებები უსურვა მას.

**ეკატერინე ჩუბინაშვილმა** აღნიშნა, რომ მისთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა პროფესიონალ გუნდთან ერთად მუშაობა.

**სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

**/მომხსენებლები: კარლო კვიტაიშვილი; ეკატერინე ჩუბინაშვილი/**

2. სხვადასხვა საკითხები.

**დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.**

**კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:**

**მომხრე 11; წინააღმდეგი არც ერთი.**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **ეკატერინე ჩუბინაშვილმა** და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს (1.04.2026 - 6.04.2026) ქ. ლანჩხუთში დაგეგმილია რიგით მეოთხე, „ნოე ჟორდანიას" სახელობის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. ღონისძიების ორგანიზების პროცესში გამოიკვეთა დაფინანსების მოცულობის კორექტირება. კერძოდ, გამარჯვებული ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდოს ოდენობასთან დაკავშირებით. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე მოგახსენებთ, რომ სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ." ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N 16 დადგენილების მე-6 მუხლის მე-2-ე თავში შევიდეს ცვლილება. ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) 8-დან12 წლამდე სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებს შორის:

ა.ა) 8 წლამდე გოგოები და ვაჟები: I ადგილი - 350 ლარი; II ადგილი - 250 ლარი; III ადგილი - 150 ლარი;

ა.ბ) 10 წლამდე გოგოები და ვაჟები: I ადგილი - 350 ლარი; II ადგილი - 250 ლარი; III ადგილი - 150 ლარი;

ა.გ) 12 წლამდე გოგოები და ვაჟები: I ადგილი - 350 ლარი; II ადგილი - 250 ლარი; III ადგილი - 150 ლარი;

ბ) ღია ტურნირის სხვადასხვა კატეგორიას შორის:

ბ.ა) ღია კატეგორიას შორის: I ადგილი - 950 ლარი; II ადგილი -800 ლარი; III ადგილი - 700 ლარი; IV ადგილი - 600 ლარი; V ადგილი - 500 ლარი, VI ადგილი - 400 ლარი; VII ადგილი - 350 ლარი, VIII ადგილი - 300 ლარი; IX ადგილი - 250 ლარი, X ადგილი - 200 ლარი;

ბ.ბ) ქალთა შორის: I ადგილი - 500 ლარი; II ადგილი - 400 ლარი; III ადგილი - 350 ლარი.

ბ.გ) 16 წლამდე ღია: I ადგილი - 410 ლარი;

ბ.დ) 16 წლამდე გოგოებს შორის: I ადგილი - 400 ლარი;

ბ.ე) 14 წლამდე ღია: I ადგილი - 390 ლარი;

ბ.ვ) 14 წლამდე გოგოებს შორის: I ადგილი - 380 ლარი;

ბ.ზ) სენიორები(01.01. 1965 წლამდე დაბ.): I ადგილი - 350 ლარი; II ადგილი - 300 ლარი, III ადგილი - 100 ლარი;

ბ.თ) ურეიტინგო მოთამაშეები: I ადგილი - 300; II ადგილი - 200 ლარი III ადგილი - 100 ლარი,.

გ) მწვრთნელთა შორის: I ადგილი - 500 ლარი, II ადგილი - 400 ლარი, III ადგილი - 350 ლარი, IV ადგილი - 300, V ადგილი - 250 ლარი."

კომისიის წევრმა **თენგიზ ხუხუნაიშვილმა** ისაუბრა ტურნირის შესახებ და აღნიშნა, რომ ეს არის დიდი დონის საჭადრაკო ტურნირი. აქ ჩამოვლენ საერთაშორისო დონის მოთამაშეები, დაახლოებით 330 მოჭადრაკე. მას იმედი აქვს, რომ მომავალ წელს სპორტულ კომპლექსში გაიმართება ტურნირი და საერთაშორისო რეიტინგიც დაიდება. ტურნირი გაიმართება 8 – 10 – 12 ასაკობრივ ჯგუფებში და ასევე ღია კატეგორიაშიც, სადაც ასაკობრივი ზღვარი არ არის.

კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ ის არის ჭადრაკის დიდი მოყვარული, ტურნირებშიც კი იღებდა მონაწილეობას და პირველი თანრიგიც აქვს აღებული. მას სურს ტურნირის ყველაძე პატარა მონაწილეს გადასცეს 100 ლარიანი საჩუქარი და ასევე, კარგი იქნება, თუ მერიის შენობაშიც ჩატარდება ჭადრაკის ტურნირი თანამშრომლებს შორის.

კომისიის წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** წარმატებები და ნაყოფიერი მუშაობა უსურვა **ეკატერინე ჩუბინაშვილს.**

კომისიის წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ მას ჰქონდა პატივი 2 წლის განმავლობაში ეთანამშრომლა **ეკატერინე ჩუბინაშვილთან,** იცის მისი უნარები, მმართველობის სტილი და დარწმუნებულია, ის ძალიან კარგი ხელმძღვანელი იქნება.

**კომისიის წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.**

**კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**მომხრე 11; წინააღმდეგი არც ერთი.**

**სხვადასხვა საკითხები არ განხილულა.**

**ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა**

**და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე:** **/კარლო კვიტაიშვილი/**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო**
**სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და**
**ახალგაზრდულ საქმეთა კომისია**

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა**
**და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №4 სხდომის**
**დასკვნა**

**ქ. ლანჩხუთი** **26.03.2026 წ.**

2026 წლის 26 მარტს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

**/მომხსენებლები: კარლო კვიტაიშვილი; ეკატერინე ჩუბინაშვილი/**

**კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

**მომხრე 11; წინააღმდეგი არც ერთი.**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა**
**და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე:** **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი

26.03.2026 წელი
11:30 საათი

| | | |
|---|---|---|
| 1. კარლო კვიტაიშვილი - კომისიის თავმჯდომარე | 11 25 | |
| 2. ნინო მშვიდობაძე | 11 56 | |
| 3. დარეჯან ბურჭულაძე | 11 25 | |
| 4. ლოლიტა ურუშაძე | 11 25 | |
| 5. ელისო ჭიჭინაძე | 11 25 | |
| 6. რევაზ კვერენჩხილაძე | 11 23 | |
| 7. ივანე ებრალიძე | 11 50 | |
| 8. ვარლამ ჩხარტიშვილი | 11 21 | |
| 9. გელა პატეიშვილი | 11 29 | |
| 10. ირაკლი ტოროტაძე | 11.29 | |
| 11. თენგიზ ხუხუნაიშვილი | 11 20 | |